საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი #50/026, #01.17.01.050.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტის კორექტირების „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	05.08.2024

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
5. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. მიწის საკონტროლო დონის გამოთვლის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
9. გზა-კიბეების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
10. ლიფტის შახტისა და კაბინის დეტალიზაცია *(არქიტექტურული ნაწილი)*;
11. კარის დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
12. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
13. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
14. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
15. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
16. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
17. წყალსადენი მოწყობილობების დეტალური ნახაზები *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
18. ნიშნების დეტალური ნახაზები;

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

მაღლივი შენობისადმი მოთხოვნების შეფასება ---------- 4

ატრიუმისადმი მოთხოვნების შეფასება ---------- 5

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 6

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 7

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 8

მისაწვდომობის შეფასება ---------- 9

შიგა გარემოს შეფასება ---------- 10

გარე კედლების შეფასება ---------- 11

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 12

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 13

ლიფტის შეფასება ---------- 14

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, #01.17.01.050.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 24/08/2023წ. №6630618 ბრძანების საფუძველზე შეთანხმდა სასტუმროს ტიპის არქიტექტურული პროექტი. ამის შემდგომ, 2024 წლის 30 მაისს, №7057891 ბრძანებით მოხდა პროექტის კორექტირება, შენობის საოფისე ფუნქციით გადაკეთების მიზნით. ამ ეტაპზე დაგეგმილია საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტის კორექტირება, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

- 0.00 ნიშნულზე დაცვის ოთახის ნაცვლად განთავსდა გენერატორის ოთახი;
- 0.00 - +26.00 ნიშნულებზე, კიბის უჯრედში გაიჭრა დამატებითი კარი;
- +11.52 ნიშნულზე, მოეწყო ტერასა.
- კედლების მოპირკეთების ხარჯზე მცირედიდ დაკორექტირდა შიდა სივრცის ფართობები;
- +26.00 ნიშნულზე დაკორექტირდა „D-C" ღერძებში განთავსებული ტერასა.
- ფასადებზე შეიცვალა ვიტრაჟები;

საპროექტო მიწის ნაკვეთს სამხრეთით ესაზღვრება ალ. წურწუმიას ქუჩა, აღმოსავლეთით დედოფლისწყაროს ქუჩა, დასავლეთით ნაწილობრივ რეგისტრირებული (#01.17.01.050.017) საკადასტრო ერთეული და ნაწილობრივ საზოგადოებრივი ქუჩა, ხოლო ჩრდილოეთით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.17.01.050.028.

<u>რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო შენობასთან სახანძრო მანქანის მისადგომი გზების რაოდენობას, ადგილმდებარეობას და სხვა პარამეტრებს, აღნიშნული საკითხი პროექტის პირველადი შეთანხმების ეტაპზე არ რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41-ე დადგენილებით. სახანძრო მანქანის მისადგომები გზები და ასეთ გზებთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმები დადგენილი და შეთანხმებულია სავანგვებო სიტუაციების მართვის სამსახურთან სხვადასხვა ნორმატივებზე დაყრდნობით, რაც დღის მდგომარეობითაც რჩება უცვლელი.</u>

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება რთული რელიეფურობით. დასაგეგმარებელი შენობისათვის მიწის დონე განისაზღვრა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით და წინამდებარე

დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად დაიყო მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულები: შენობაში განთავსებულია ორი მიწის დონის ქვედა და შვიდი მიწის დონის ზედა სართული.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა II სართული (-3.60 ნიშნულზე) - საოფისე სივრცე, საკონფერენციო სივრცე, სამზარეულო, ტექნიკური სივრცე, ინჟრის და IT ოთახი.
- მიწის დონის ქვედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - ლობი, საოფისე სივრცეები, გენერატორის ოთახი და დამხმარე ფართები.
- მიწის დონის ზედა I სართული (+3.65 და +3.95 ნიშნულებზე) - საოფისე სივრცეები და მათი მომსახურე, თანამშრომლებისათვის განკუთვნილი ბარი, ტერასა და სხვა დამხმარე ფართები.
- მიწის დონის ზედა II - VII სართული (+7.90 - +26.00 ნიშნულებზე) - საოფისე სივრცეები და სხვა დამხმარე ფართები.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-9 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოყვანილია წინამდებარე დასკვნის მე-7 თავში.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-3 და მე-6 თავებში.

საპროექტო შენობის ფასადები მოპირკეთდება დაჟანგული კოროზიამდეგი მეტალის ფურცლებთ, ფიბრობეტონის ფილებით და ნაწილობრივ HPL პანელებით; რაც შეეხება სახურავს, იგი მოპირკეთდება თუნუქის ფურცლებით.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე სივრცეები -3.60, 0.00, +3.65, +3.95, +7.90, +11.52, +15.14, +18.76, +22.38 და +26.00 ნიშნულებზე; სამზარეულო -3.60 და +3.65 ნიშნულებზე) - შეესაბამება 304.1 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა ან ნაგებობა ან მათი ნაწილი, რომელიც მოიცავს საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის გამოყენებულ სივრცეებს.
  შენიშვნა: იმის გათვალისწინებით, რომ +3.95 ნიშნულზე, თავშეყრის მიზნით გამოყენებული საოფისე სივრცის ნაწილის და მისი მომსახურე ტერასის დაკავებულობის დატვირთვა, ცალკეულად ორივე შემთხვევაში, არ აღემატება 50 ადამიანს, ხოლო ფართობი 70კვ.მ-ს, აღნიშნული სივრცეები დაკლასიფიცირებულია როგორც სქ და არა თვ ჯგუფად, თანახმად 303.1.2 ქვეთავისა.

  - **თავშეყრის ჯგუფი თვ-3** (საკონფერენციო სივრცე -3.60 ნიშნულზე) - შეესაბამება 303.4 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საჯარო დარბაზები და სხვ;

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (ტექნიკური სივრცეები - -3.60, 0.00, +7.90, +11.52, +15.14, +18.76 და +22.38 ნიშნულებზე) - შეესაბამება 306.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის წარმოების მიზნით გამოყენებული სივრცეები.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (სხვადასხვა სახის დამხმარე სასაწყობე სივრცეები - +3.65, +3.95, +7.90, +11.52, +15.14, +18.76 და +22.38 ნიშნულებზე) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობად გამოყენებული სივრცე, სადაც ინახება საშუალო საფრთხის შემცველი ინვენტარი.

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

  - საოფისე სივრცეები ---------- 9.3 მთლიანი;
  - საოფისე სივრცეები (არაკონცენტრირებული მაგიდა-სკამებით) ---------- 1.4 სუფთა;
  - სამზარეულო ---------- 18.6 მთლიანი;
  - საკონფერენციო დარბაზი ---------- 1.4 სუფთა;
  - სასაწყობე სივრცეები ----------46.5 მთლიანი;
  - ტექნიკური სივრცეები ---------- 27,9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა და ქვედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე, რომელიც უტოლდება 436.48 აბსოლუტურ ნიშნულს. მიწის დონე გამოთვლილ იქნა შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის 1,8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით.

- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 36.47 მეტრით და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ქვედა 2 (ორი) და მიწის დონის ზედა 7 (შვიდი) სართული.

- რაც შეეხება +29.40 ნიშნულზე განთავსებულ შემოზღუდულ სახურავზედა ნაგებობებს, +29.40 ნიშნული განხილულია როგორც პენტჰაუსი და იგი გამოიყენება მხოლოდ მექანიკური მოწყობილობების შესანიღბად, თანახმად 1509.2.2 ქვეთავისა, ასეთი პენტჰაუსის ფართობი არ აღემატება სახურავის ფართობის 1/3-ს, შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს სახურავის ნაწილს და იგი არ უნდა ჩაითვალოს დამატებით სართულად. მითითებულ დონეს, როგორც სახურავს უკავშირდება 1 გზა-კიბე, რაც დასაშვებია 1009.16 ქვეთავისა.

- შენობაში გათვალისწინებულია სქ, თვ-3, სმ-1 და სწ-1 ჯგუფების დაკავებულობები.

- ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის (I-B) მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(I-B)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხებს, ცეცხლმედეგობისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად *(შენობის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, გარე და შიგა მზიდი კედლები, იატაკის და სახურავის კონსტრუქცია და არამძირითადი ნაწილები - უნდა გააჩნდეს, სულ მცირე 2 საათიანი ცეცხლმედეგობა).* არქიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, თუმცა კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობების ხარისხი ასევე უნდა დაზუსტდეს კონსტრუქციულ პროექტში „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს 721 და 722 ქვეთავების მიხედვით.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის მოთხოვნებს. შენობის ასეთი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები უტოლდება 1 საათს შენობის მთელ პერიმეტრზე თითოეული სართულის დონეზე.

- რაც შეეხება სახურავის კონსტრუქციაში წვადი ანაწყობის გამოყენების შესაძლებლობას, აღნიშნული დასაშვებია 603.1 ქვეთავის მიხედვით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სახურავის კონსტრუქციებში, მათ შორის, კოჭებში, წამწეებში, ჩარჩოებსა და ფენილებში გამოყენებული ხე დამუშავებული უნდა იყოს ცეცხლმედეგობაზე, სულ მცირე 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხით.

4 მაღლივი შენობისადმი მოთხოვნების შეფასება:

- 202-ე ქვეთავის განმარტების თანახმად, მაღლივი შენობა წარმოადგენს ისეთი ტიპის შენობას, რომლის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მეტრზე ზემოთ. საპროექტო შენობა განეკუთვნება მაღლივი შენობის კატეგორიას.

- მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, რაც შეესაბამება 403.3 ქვეთავს მოთხოვნას.

- კვამლაღმომჩენი, განგაშისა და საავარიო სისტემები მაღლივ შენობებში შეესაბამება 403.4.1 – 403.4.8 ქვეთავებს.

- საპროექტო შენობები აღჭურვილია ბუნებრივი და მექანიკური სანიავებელი სისტემით, რაც შეესაბამება 403.4.6 პუნქტის მოთხოვნას.

- წარმოდგენილი პროექტით სათადარიგო ელ. სისტემას საპროექტო შენობისთვის წარმოადგენს გენერატორს, რომელიც განთავსებულია 0.00 ნიშნულის დონეზე.

- თითოეულ ბლოკში შიგა გასასვლელის გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 9,0 მეტრზე მეტად, თანახმად 403.5.1 ქვეთავისა და ამასთანავე კიბეებში შემავალ გზა-კარს შორის მანძილი შეესაბამება 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბეები შეესაბამება 909.20.5 და 1022.10 ქვეთავების მოთხოვნებს, თანახმად 403.5.4 ქვეთავისა.

- მაღლივ შენობაში უზრუნველყოფილია გასასვლელის ბილიკის განათებული აღნიშვნები, თანახმად 1024.1 პუნქტისა.

5 ატრიუმისადმი მოთხოვნების შეფასება:

- 0.00 და +3.95 ნიშნულებს აკავშირებს დაუმალავი შვეული ღიობი, რომელიც კლასიფიცირდება როგორც ატრიუმი. აღნიშნულის გათვალისწინებით შენობაში დაცულია 404 ქვეთავის მოთხოვნები, კერძოდ:
  - ✓ ავტოსაშხეფი სისტემა დაყენებულია მთელ შენობაში, რაც შეესაბამება 404.3 ქვეთავის მოთხოვნას.
  - ✓ შენობაში დაცულია 907.2.14 ქვეთავთან შესაბამისობის ვალდებულება, ატრიუმი დაცულია კვამლაღმომჩენებით და საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით.
  - ✓ ატრიუმს არ მოეთხოვება კვამლის საკონტროლო სისტემა, თანახმად 404.5 ქვეთავის გამონაკლისისა.
  - ✓ ატრიუმის სივრცეები მომიჯნავე სივრცეებისგან გამიჯნულია ერთსაათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით და ორ საათიანი ცეცხლმედეგობის თარაზული ანაწყობებით, ხოლო ასეთ ცეცხლმედეგ ზღუდეებში მოწყობილი კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 45 წუთს, თანახმად 716.5 ცხრილისა. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.6 ქვეთავის მოთხოვნას.
  - ✓ ატრიუმის საზღვრებში მაქსიმალური სავალი მანძილი გასასვლელამდე არ აღემატება 60 მეტრს, თანახმად 404.9 ქვეთავისა.

6 ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.

- გარე კედლებში არსებული ღიობები არ საჭიროებს შვეულად გამიჯვნას თანახმად 705.8.5 ქვეთავის მეორე გამონაკლისისა, ვინაიდან შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი შეესაბამება 705.8 ქვეთავის მოთხოვნას.

- შენობას არ გააჩნია პარაპეტი, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 705.11 ქვეთავის მე-3 გამონაკლისით.
- სახურავის ფენილში მოწყობილი ღიობის ხარჯზე, სახურავის ანაწყობის სტრუქტურული მთლიანობა არ ირღვევა, თანახმად 711.4 ქვეთავისა

- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხით, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი და მათი მომსახურე ტამბურების გამმიჯნავები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.

- სართულები, გარდა ატრიუმის სივრცისა, ერთმანეთისაგან გამიჯნულია 508.4 და 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა დაცვით. რაც შეეხება სართულებზე არსებულ დამხმარე დაკავებულობებს (რომლებიც არ იკავებს სართულის 10%-ზე მეტს), თანახმად 508.2.4 ქვეთავისა, დამხმარე და მთავარი დაკავებულობების გამიჯვნა აუცილებელი არ არის.

- საპროექტო შენობის თითოეული სართული (გარდა ატრიუმის სივრცით დაკავშირებული 0.00 და +3.95 ნიშნულებისა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის თარაზული ანაწყობებითა და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ცეცხლმედეგი ზღუდეებით, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, სრულად ვერ არის დაკმაყოფილებული 707.3.10 ცხრილის მოთხოვნები (სწ-1 ჯგუფის გამმიჯნავებისადმი მოთხოვნების გათვალისწინებით), შესაბამისად საპროექტო შენობა, მასში შემავალი ყველა სართულით წარმოადგენს ერთ, ცეცხლისაგან დაცულ ფართობს. შესაბამისად მე-9 თავის განხილვისას, გათვალისწინებულ იქნა ხანძრისაგან დაუცველი მთლიანი ფართობებისათვის წაყენებული ყველაზე მკაცრი მოთხოვნები.

- აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტების და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 ქვეთავისა.
- ვინაიდან მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, -3.60 ნიშნულზე დერეფნის მომსახურე კედლებისათვის ცეცხლმედეგობის ვალდებულება არ განისაზღვრება, რაც შეესაბამება 1018.1 ცხრილს.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

7 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, რაც შეესაბამება 403.3 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- საპროექტო შენობაში უზრუნველყოფილია სახანძრო მილდგარების სისტემა. წარმოდგენილი პროექტით, მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების შესასვლელის სიახლოვეს. ასეთი სახით მილდგარების განთავსების საკითხი უნდა შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო სამსახურში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 905 ქვეთავის მოთხოვნას.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია თითოეულ სართულზე, სახანძრო მილდგარების კარადაში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- მთელ შენობაში განთავსებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, აღნიშნული შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა აქტიურდება სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით, რომლებიც მოწყობილია გასასვლელის გზა-კარებთან, არაუმეტეს 1,5 მეტრის არეალში. რაც შეეხება სახანძრო განგაში სისტემას, აღნიშნული სისტემისათვის უზრუნველყოფილია განგაშის შეტყობინების მოწყობილობები. გასათვაისწინებელია, რომ საშხეფის წყლის ჭავლის მართვის მექანიზმების, კვამლაღმომჩენების, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების გააქტიურებისთანავე, ავტომატურად უნდა გააქტიურდეს დამკავებელთა შეტყობინების სისტემაც.

- იმის გათვალისწინებით, რომ ლიფტის და გზა-კიბეების დაწნევის სისტემა უნდა გააქტიურდეს კვამლაღმომჩენით, სავალდებულოა თითოეული სართული უზრუნველყოფილი იყოს კვამლაღმომჩენებით, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია და რაც შეესაბამება 909 და 907 ქვეთავების მოთხოვნას.

- კვამლაღმომჩენით აღჭურვილა შენობის თითოეული სამყოფიც/სათავსიც.

- კვამლაღმომჩენები ასევე მოწყობილია ელექტრომექანიკური მოწყობილობების ოთახებში, თანახმად 907.2.13.1.1 ქვეთავისა.

- არხის კვამლაღმომჩენები უნდა განთავსდეს 907.2.13.1.2 ქვეთავის შესაბამისად, რაც სავალდებულოდ უნდა გათვალისწინდეს საინჟინრო დოკუმენტაციაში.

- შენობაში სახანძრო განგაშის სისტემას წარმოადგენს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც განთავსებულია ლიფტებთან, გასასვლელის გზა-კიბეებზე და თითოეული სართულის დონეზე საერთო სარგებლობის სივრცეებში.

- მხედველობითი განგაშის მოწყობილობებით აღჭურვილია საჯარო და საერთო გამოყენების ფართები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- გზა-კიბეები უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემით, რაც დასაშვებია იმის გათვალისწინებით, რომ მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი სისტემით სარგებლობისას გზა-კიბეებზე უნდა შეიქმნას სულ მცირე, 25 პა და, არაუმეტეს, 87 პა წნევა გზა-კიბის ყველა კარის დახურვისას, მაქსიმალური თვითწევისა და ქარის გავლენის პირობებში.
- დაწნევის სისტემით არის აღჭურვილი შენობაში განთავსებული ლიფტის შახტები. ლიფტის შახტის დაწნევის სისტემა სრულად უნდა პასუხობდეს 909.21 ქვეთავის მოთხოვნას, რაც საგალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას.

სახანძრო ტუმბო:

- საპროექტო შენობის ხანძარქრობის სისტემების მომსახურე სახანძრო ტუმბო განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ #1 შენობის სადღვრებში.

8 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- შენობის თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
  - მიწის დონის ზედა მე-3 - მე-7 სართულებზე (+11.50 - +26.00 ნიშნულების დონეზე) გათვალისწინებულია საოფისე და მათი დამხმარე სივრცეების განთავსება და ასეთი ცალკეული სართულის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს,

შესაბამისად აღნიშნული სართულებისთვის საჭიროა ორი გასასვლელის მოწყობა, რაც პროექტით გათვალისწინებულია და წარმოდგენილი პროექტთით თითოეულ სართულს ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

- მიწის დონის ზედა მე-2 სართულზე (+7.90 ნიშნულზე), სართული გაყოფილია ორ ურთიერთ დამოუკიდებელ ნაწილად და ორივე ნაწილი საოფისე დანიშნულებისაა. D-A ღერძებში განთავსებული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა აღემატება 1021.2(2) ცხრილით განსაზღვრულ მონაცემს, შესაბამისად საჭიროებს ორი გასასვლელის მოწყობას რაც პროექტით გათვალისწინებულია. სივრცეს ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.
  რაც შეეხება E-I ღერძებში განთავსებულ სივრცეს, აღნიშნულს ემსახურება ერთი გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე, რაც სივრცის დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილის გათვალისწინებით (ავტოსაშხე სისტემით აღჭურვილ შენობაში სქ ჯგუფისთვის 30 მეტრის სახით) აკმაყოფილებს 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს. ამას გარდა კიბე არ არის შემოზღუდული, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1009.3 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისით.

- მიწის დონის ზედა I სართულზე (+3.95 ნიშნულზე) სართულის დაკავებულობის დატვირთვა აღემატება 1021.2(2) ცხრილით განსაზღვრულ მაჩვენებელს, თუმცა არ აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად აღნიშნულ სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი. წარმოდგენილი პროექტით მითითებულ სართულს ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, ერთი გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე და ერთი გზა-კარი.
  ამავე სართულზე, +3.65 ნიშნულზე განთავსებულ ცალკეულ სივრცეს ემსახურება ერთი გასასვლელი გზა-კარის სახით, რაც დასაშვებია 1021.2(2) ცხრილის თანახმად.

- მიწის დონის ქვედა I სართულზე (0.00 ნიშნულზე) განთავსებული სხვადასხვა საოფისე სივრცეს ცალ-ცალკე დამოუკიდებლად ემსახურება სხვადასხვა რაოდენობის გასასვლელი. ზემოაღნიშნული თითოეული სივრცისთვის გასასვლელების რაოდენობა შესაბამისობაშია 1021 ქვეთავის მოთხოვნებთან, ხოლო საერთო სავალი ბილიკები 1014.3 ცხრილის მოთხოვნებთან.

- მიწის დონის ქვედა II სართულზე (-3.60 ნიშნულზე) გათვალისწინებულია საოფისე, საკონფერენციო და დამხმარე-ტექნიკური სივრცეები. სართულის მდებარეობიდან (მიწის დონის ქვედა II სართული) და დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელის მოწყობა, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით. ამას გარდა B-H ღერძებში განთავსებულ სივრცეს დამატებით ემსახურება გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 1021.2 და 1021.2.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

- +29.40 ნიშნულზე განთავსებული შემოზღუდული სახურავზედა ნაგებობები განხილულია როგორც პენტჰაუსი და იგი გამოიყენება მხოლოდ მექანიკური მოწყობილობების შესანიღბად, თანახმად 1509.2.2 ქვეთავისა, ასეთი პენტჰაუსების ფართობი არ აღემატება სახურავის ფართობის 1/3-ს, შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს სახურავის ნაწილს და იგი არ უნდა ჩაითვალოს დამატებით სართულად. მითითებულ დონეს, როგორც სახურავს უკავშირდება 1 გზა-კიბე, რაც დასაშვებია 1009.16 ქვეთავისა.

- ძირითადი შენობის ნაწილში, სართულების მომსახურე გასასვლელი საშუალება წარმოადგენს შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს. ზემოაღნიშნული ორი გზა-კიბიდან ერთ-ერთი 0.00 ნიშნულის დონეზე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ რაც შეესაბამება 1022.1 ქვეთავის მოთხოვნას, ხოლო მეორე ისეა დაგეგმარებული რომ ამავე დონეზე ასეთი შემომზღუდავი გადის თავისუფალ და ჩაუხერგავ სავალ ბილიკზე, იქიდან კი გარეთ გასასვლელ კარში და ასეთი გასასვლელი ადვილად შესამჩნევი და ამოსაცნობია შემომზღუდავის ბოლოდან. ამას გარდა აღნიშნული ბილიკი აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1022.1 ქვეთავისა და 1027.1 ქვეთავის I გამონაკლისის მოთხოვნას.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს არ ემსახურება ვესტიბიულები, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 909.20.5 ქვეთავით, რომლის მიხედვითაც, სადაც შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით ვესტიბიული საჭირო არ არის, თუ შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე იქმნება, სულ მცირე, 25 პა და, არაუმეტეს, 87 პა წნევა გზა-კიბის ყველა კარის დახურვისას.

- თითოეული სართულის დონეზე გზა-კიბეები განთავსებულია 1015.2.1 ქვეთავისა და 403.5.1 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობებში, თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე.

- იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი შენობა-ნაგებობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და შენობაში გათვალისწინებულია საავარიო ხმოვანი/განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 5,1 მმ-ია თითო დამკავებელზე. მიღებული მაჩვენებელი გადანაწილებულია შენობაში მოწყობილ გზა-კიბეებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული გზა-კიბის სიგანე ჯამური მონაცემებით აკმაყოფილებს 1005.3.1 ქვეთავის გამონაკლისს; ხოლო თითოეული მათგანი აკმაყოფილებს და აღემატება კიდეც 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეს (1.10 მეტრის სახით). აგრეთვე, ვინაიდან მთლიანი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომ გასასვლელ საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის 1,2 მ მანძილის დაცვა აუცილებელი არ არის, თანახმად 1007.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისისა.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, შენობებისთვის სადაც გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა და საავარიო ხმოვანი/განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, თითო დამკავებელზე 3,8 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.20 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, შენობებისთვის სადაც გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა და საავარიო ხმოვანი/განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, თითო დამკავებელზე 3,8 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობის ჯამური მონაცემები გადანაწილებულია შენობდან გამოსასვლელ გასასვლელზე და მიღებული მაჩვენებლი ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია

წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს,
- გზა-კიბის ბაქნები აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელის ყველა კარი (გარდა +3.95, +22.38 და +26.00 ნიშნულებზე აივნებზე და ტერასებზე გასასვლელი კარებისა) იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება +22.38 და +26.00 ნიშნულებზე განთავსებულ აივნებზე და ტერასებზე გასასვლელ კარებს, აღნიშნული წარმოადგენს მექანიკურად მოძრავ გასაწევ კარებს და ვინაიდან აღნიშნული საზაფხულო სივრცეების დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 10-ს, ასეთი ტიპის კარის მოწყობა დასაშვებია 1008.1.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისის შესაბამისად. გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან +3.95 ნიშნულზე, „ა-ბ“ ღერძებში ტერასაზე გამავალი მექანიკურად მოძრავი გასაწევი კარი არ წარმოადგენს გასასვლელ საშუალებას, აღნიშნული დასაშვებია არ შეესაბამებოდეს 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- თითოეული სართულის დონეზე დაკმაყოფილებულია ჩიხებისადმი მოთხოვნა თანახმად 1018.4 ქვეთავისა.
- თითოეული სართულის დონეზე უზრუნველყოფილია საერთო საევალი ბილიკისადმი მოთხოვნები 1014.3 ცხრილის შესაბამისად.
- გასასვლელებთან მისადგომი საევალი მანძილი, თითოეულ სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.
- შენობაში უზრუნველყოფილია გასასვლელის ბილიკის განათებული აღნიშვნები, თანახმად 1024.1 პუნქტისა.

9 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.
- თანახმად 1104 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან, რაც დაკმაყოფილებულია.
- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო შენობის +7.90 ნიშნულის I-E ღერძებში განთავსებული ფართი არ არის მისაწვდომი, რაც მისი ფართობიდან გამომდინარე დასაშვებია (იგი ნაკლებია 280 კვ.მ.-ზე), რაც შეესაბამება 1104.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივ ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს, მისაწვდომ ლიფტს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ გზა-კიბეებისათვის სახელურებს შორის 1.2 მეტრის და თავშესაფრის ფართობების უზრუნველყოფა არ არის საჭირო, ვინაიდან მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, რაც დასაშვებია 1007.3 ქვეთავის 1-ლი და მე-2 გამონაკლისით.

- გასათვალისწინებელია, რომ მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, მისაწვდომი ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. ასეთი ლიფტი უზრუნველყოფილია სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემით, ხოლო ლიფტთან თავშესაფრის ფართობის უზრუნველყოფა არაა საჭირო, ვინაიდან მთელი შენობა ავტოსაშხეფი სისყემითაა აღჭურვილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.4 ქვეთავს.

- შშმ პირთათვის განკუთვნილ ლიფტთან, შენობიდან გამოსასვლელი დონის გარდა ყველა სართულზე, მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას. ორმხრივი კავშირის სისტემა აკმაყოფილებს 1007.8.1 და 1007.8.2 ქვეთავების მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა

უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან და მისაწვდომ ლიფტთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

10 შიგა გარემოს შეფასება:

- შენობაში განთავსებული საოფისე სივრცეების ძირითადი ნაწილი ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და ქვეთავებს.

- -3.60 და 0.00 ნიშნულებზე განთავსებული საოფისე და საკონფერენციო სივრცეები, ასევე სხვადასხვა სართულზე განთავსებული დამხმარე-ტექნიკური სივრცეები ვერ ნიავდება ბუნებრივად და უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემებით. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 1203 ქვეთავთან.

- რაც შეეხება ტუალეტების ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სივანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- არვერთი დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

- საზოგადოებისა და თანამშრომლების გამოსაყენებელ, ერთზე მეტ ადგილიან ტუალეტებში უნიტაზები განთავსებულია ცალკე ნაკვეთურებში, რაც აკმაყოფილებს 1210.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

11 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.

- გარე კედლებზე გამოყენებული იქნება კოროზიამედეგი დაჟანგული მეტალი, HPL პანელი და ფიბრობეტონის ფილა. ასევე ფასადების მცირე ნაწილი ილესება.

- მაღალი წნევით დამუშავებული, გარე დეკორატიულ კომპაქტურ ლამინატთან (HPL)-თან მიმართებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

  - მაღალი წნევით დამუშავებული, გარე დეკორატიული, კომპაქტური ლამინატის დაგეგმარება და მშენებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ქარისმიერი და წვიმისმიერი დატვირთვებისადმი მედეგობას ამ ქვეთავისა და მწარმოებლის მითითებების შესაბამისად.
